საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 2 21 0000698795

12/07/2021

„პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N154301 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 06 ივლისის №679796 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N154301 ბრძანებაში და ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგიის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მას შემდეგ რაც პროფესიული მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდება საბოლოო კოეფიციენტი (K) ის გადაყვანილი უნდა იქნას კრედიტებში. ამისთვის, სწავლის შედეგისთვის დადგენილი კოეფიციენტი (K) უნდა გამრავლდეს პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე გასანაწილებელი კრედიტების მოცულობაზე (c) და გაიყოს ყველა სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტის ჯამზე. მიღებული შედეგი მრგვალდება მთელ რიცხვამდე (შესაძლებლობის შემთხვევაში) ან მეათედამდე სიზუსტით.
აღნიშნული ფორმულა შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

(K * C) / ∑ (K),
სადაც K არის კონკრეტული სწავლის შედეგისთვის დადგენილი საბოლოო კოეფიციენტი,

C - პროფესიული მოდულების სწავლის შედეგებზე გასანაწილებელი კრედიტების მოცულობა, ∑ (K) - ყველა სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტების ჯამი

მაგ: "X" სტანდარტის კონკრეტული „სწავლის შედეგის 1"-ის კრედიტების მოცულობის გამოსათვლელად, მიმდევრობით უნდა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები:

1) განისაზღვროს ამ სწავლის შედეგის საბოლოო კოეფიციენტი, რისთვისაც უნდა დაანგარიშდეს დარგის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შუალედური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული.

სწავლის შედეგი	შემფასებელი	მნიშვნელოვნება	სირთულე,მასშტაბურობა და კომპლექსურობა	სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ძალისხმევა	საშუალო კოეფიციენტი
სწავლის შედეგი 1	A	1	2	3	2
	B	2	1	2	1.7
	C	3	3	1	2.3
	D	1	2	3	2
	F	2	1	2	1.7
	G	3	3	1	2.3
	H	1	2	3	1.7
	I	1	1	1	1
	J	2	2	1	1.7
	K	1	1	2	1.3
	საბოლოო კოეფიციენტი				**∑ 1.8**

2) ასეთივე გზით უნდა განისაზღვროს ყველა პროფესიული მოდულის სწავლის შედეგის საერთო კოეფიციენტი. დავუშვათ, რომ სტანდარტი შედგება 10 სწავლის შედეგისგან და მათი საბოლოო კოეფიციენტები განაწილდა შემდეგნაირად:

სწავლის შედეგი	**საბოლოო კოეფიციენტი**
სწავლის შედეგი 1	**1.8**
სწავლის შედეგი 2	1.3
სწავლის შედეგი 3	1.2
სწავლის შედეგი 4	2.3
სწავლის შედეგი 5	2.1
სწავლის შედეგი 6	1.7
სწავლის შედეგი 7	1.5
სწავლის შედეგი 8	2.1
სწავლის შედეგი 9	2
სწავლის შედეგი 10	3
საბოლოო კოეფიციენტის ჯამი	**∑ 19**

ასეთ შემთხვევაში კონკრეტული სწავლის შედეგისთვის საბოლოო კოეფიციენტის გამოანგარიშება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(1.8 * 105)/19 = 10
შესაბამისად, ამ სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში იქნება 10 კრედიტი.".

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ